პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 8 (7984) | კვირა, 10 იანვარი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერშია:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
**პარტიული ცხოვრება.** — განუწყვეტლივ სრულვყოთ პარტიული მუშაობის მეთოდები (მე-2 გვერდი).
**პ. ეპიფანოვი, ი. ფედოსოვი.** — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი (მე-2 და მე-3 გვერდი).
**მზადება საგაზაფხულო თესვისათვის.** — თვითკმაყოფილების ატმოსფეროში. სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მუშაობაში ხელს არ უწყობენ (მე-2 გვერდი).
ორი რესპუბლიკის მეშახტეთა თანამეგობრობა (მე-3 გვერდი).
**მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატები.** — ლეონ კრუჩკოვსკი (მე-3 გვერდი).
მთავრობის კრიზისის გამო იტალიაში. ტოლიატის განცხადება (მე-4 გვერდი).
პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## სოფლის ბიბლიოთეკა

Კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, დაუცხრომლად ზრუნავენ მისი სულიერი კულტურის შემდგომი ამაღლებისა და კულტურული მოთხოვნილების ყოველმხრივ დაკმაყოფილებისათვის.

ამ მზრუნველობის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება, რომელიც სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის კონკრეტულ ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებს სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების მკვეთრ გაუმჯობესებას. პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ „სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად იზრდება კოლმეურნეთა და მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კულტურული მოთხოვნილებანი, რაც მოითხოვს სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის ზრუნვის გაძლიერებას. საჭიროა ავამაღლოთ სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის დონე, გამოვაცოცხლოთ კლუბებისა და ბიბლიოთეკების საქმიანობა, რეგულარულად ვუჩვენოთ კინოფილმები, გავაძლიეროთ სოფლების რადიოფიკაცია და გავაუმჯობესოთ რადიომაუწყებლობის ხარისხი“.

მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების და იდეური აღზრდის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოფლის ბიბლიოთეკები, რომლებიც წარმოადგენენ მასებში წიგნის პროპაგანდის მძლავრ საშუალებას, ხელს უწყობენ მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურის, ხელოვნების ფართოდ გავრცელებას მასებში, მშრომელთა აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას, მშრომელთა მობილიზაციას კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაჭრელად.

ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურება საქართველოში არსებული 364 სასოფლო ბიბლიოთეკა და სოფლის საკლუბო დაწესებულებების 1.580 ბიბლიოთეკა, სადაც მუშაობს საბჭოთა წიგნის აქტიურ პროპაგანდისტთა დიდი არმია. ჩვენში ცოტა როდია ისეთი ბიბლიოთეკები, რომლებიც გულდასმით ეწევიან წიგნის — ცოდნის ამ უშრეტი წყაროს პროპაგანდას მშრომელთა შორის, აშარმოებენ პარტიის მე-19 ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-5 სესიის მასალების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების პროპაგანდას მკითხველთა ფართო მასებში. ამ მხრივ აღსანიშნავია თელავის რაიონის სოფელ წინანდლის სასოფლო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნის ფონდი შეიცავს შვიდ ათასამდე წიგნს. მას ჰყავს 900-ზე მეტი მუდმივი მკითხველი. ნაყოფიერად მუშაობს ლიტერატურული წრე. ბიბლიოთეკაში სისტემატურად იმართება მკითხველთა კონფერენციები, მიზნისწრაფად და შინაარსიანად მოეწყო სკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებისადმი მიძღვნილი სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოფენა და მოძრავი ბიბლიოთეკის ფილიალები კოლმეურნეობებში.

ბიბლიოთეკის ნაყოფიერი საქმიანობა ძირითადად დამოკიდებულია მის მუშაკებზე. თუ ისინი მონდომებითა და ენერგიულად მუშაობენ, ახასიათებთ სიახლის გრძნობა და შემოქმედებითი ინიციატივა, ბიბლიოთეკაში საქმე კარგად მიდის, მაღლდება მისი ავტორიტეტი ხალხის თვალში. ამ მხრივ საყურადღებოა გურჯაანის სარაიონო ბიბლიოთეკის მაგალითი. ბიბლიოთეკის გამგემ გ. ჯორჯაძემ თავისი ნაყოფიერი მუშაობით მკითხველთა ფართო მასებში ავტორიტეტი დაიმსახურა. პარტიული და საბჭოთა ორგანოების მზრუნველობის შედეგად საგრძნობლად გაფართოვდა ბიბლიოთეკის შენობა, შეიძინეს დიდძალი ლიტერატურა, კულტურულად მოაწყეს სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკის მუდმივ მკითხველთა რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება. იგი სათანადო მეთოდურ დახმარებას უწევს სოფლის ბიბლიოთეკებს. მისი დახმარებით სოფელ კარდანახის სასოფლო ბიბლიოთეკა მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

ბიბლიოთეკების მუშაობას განსაკუთრებით უწყობს ხელს აგრეთვე ის გარემოება, რომ სოფლის ინტელიგენციის საუკეთესო ძალები ამ საქმისადმი გულისხმიერებას იჩენენ და შეგნებული აქვთ ბიბლიოთეკების დიდი როლი სახალხო განათლების გავრცელების საქმეში. ამის ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს გორის რაიონის ტირძნისის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგის მ. მაზმიშვილის და ამავე სოფლის სკოლის დირექტორის ა. შალამოვის მისაბაძი მუშაობა. ერთ დროს ჩამორჩენილი ბიბლიოთეკა მათი ენერგიული დახმარებით მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

მაგრამ საქმე ყველგან ასე როდია დაყენებული. ქარელის რაიონის ბრეძის, ატოცის, კეხიჯვრის, სტალინირის რაიონის აჩაბეთის, ახალქალაქის რაიონის პტენას, კოჩიოს სასოფლო ბიბლიოთეკები შეუფერებელ ბინებშია. თვითეულ მათგანში სუსტად არის დაყენებული წიგნის პროპაგანდა და მკითხველთა მომსახურება. აღნიშნული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ბიბლიოთეკებისადმი შეუწყნარებელ უყურადღებობას იჩენენ, მათი მუშაობის გაუმჯობესებას თავიანთ უშუალო მოვალეობად არ თვლიან.

გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ სოფლის ბიბლიოთეკების მუშაობა, განვამტკიცოთ მათი მატერიალური ბაზა და ავამაღლოთ საბიბლიოთეკო კადრების ცოდნის დონე. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები მუდამ ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ ბიბლიოთეკების მუშაობას, უნდა გააძლიერონ იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ბიბლიოთეკებისადმი და გამოიჩინონ ზრუნვა მათი კადრების შერჩევისა და პოლიტიკური აღზრდისათვის. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარმა სამმართველომ უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა და დახმარება სოფლის ბიბლიოთეკებისადმი; ხელი შეუწყოს საჭირო ლიტერატურით დაკომპლექტებაში, რათა ბიბლიოთეკებმა შეძლონ წიგნის მეშვეობით დახმარება გაუწიონ სოფლის მოსახლეობას მეცნიერების საფუძვლებისა და მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დაუფლებაში, აგროტექნიკის, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციის საკითხების შესწავლაში, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოფლის პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში, დაეხმარონ სასოფლო საბჭოებს, კოლმეურნეობებს, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა განხორციელებაში.

ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმე სახელმწიფოებრივი საქმეა. დიდია ბიბლიოთეკების როლი საბჭოთა სოფლის ცხოვრებაში, კოლმეურნეების კულტურული დონის ამაღლებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა ყველა პირობა შექმნან იმისათვის, რომ ბიბლიოთეკები გადაიქცნენ სოფლად კულტურის ნამდვილ კერებად.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

### საქართველოს სს რესპუბლიკაში

მიენიჭოს „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეს „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. შევქიე ოსმანის ასულ **კორძაიას** — აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელ კაპრეშუმის კოლმეურნეს.

2. ფლორა აკოფის ასულ **მარგარიანს** — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ დილიფის კოლმეურნეს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 8 იანვარი.

# საბჭოთა საქართველოს დღე

## რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად

ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა გაცხოველებით ემზადება საბჭოთა ხალხის დიდი დღესასწაულის — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახვედრად. საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, კულტურის სახლებში, კლუბებში, სასოფლო, რაიონულ, სასოფლო ბიბლიოთეკებში, წითელ კუთხეებში იკითხება ლექციები თემებზე: „რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი სსრ კავშირის ყველა ხალხის ზეიმია“, „ქართველ და უკრაინელ ხალხთა მეგობრობა“, „ლესია უკრაინკა და საქართველო“, „ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთელი“, „დავით გურამიშვილი და უკრაინა“ და სხვ.

ბიბლიოთეკებში გაიხსნა უკრაინული ლიტერატურის გამოფენები, მიმდინარეობს მკითხველთა კონფერენციები უკრაინული ლიტერატურის შესახებ. ყველა მუზეუმში მოეწყო ცალკე განყოფილებები — „ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობა“, სადაც ექსპონირებულია ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის ამსახველი მასალები.

ცენტრალურმა კულტურის სახლმა დაამზადა ფოტოსტენდი უკრაინელ და ქართველ ხალხთა მეგობრობის შესახებ.

კულტურის სახლებსა და კლუბებში, აგრეთვე საწარმო-დაწესებულებების წითელ კუთხეებში გაიმართება რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები. კონცერტებზე ქართულ სიმღერებთან ერთად შესრულებულ იქნება რუსული და უკრაინული სიმღერები და ცეკვები.

საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება გამოსაცემად ამზადებს ბროშურებს უკრაინული ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. განზრახულია ბროშურებად გამოცეს უკრაინელ მეცნიერთა და კულტურის მოღვაწეთა ლექციების სტენოგრამები.

## გაზაფხულ-ზაფხულის ასორტიმენტის ახალი მოდელის ფეხსაცმელი

ამას წინათ მოსკოვში სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს ფეხსაცმლის მრეწველობის მთავარი სამმართველოს სამხატვრო საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა 1954 წლის გაზაფხულ-ზაფხულის ასორტიმენტის ფეხსაცმლის ახალი ნიმუშები. საქართველოს მეფეხსაცმლეებმა წარადგინეს მამაკაცის, ქალის, მოსწავლისა და ბავშვის ფეხსაცმლის 126 ახალი ნიმუში, რომლებიც დაამზადეს თბილისისა და ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკებმა და სოხუმისა და ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატებმა მოდელიერებმა. სამხატვრო საბჭომ 101 მოდელი დაამტკიცა მასობრივი წარმოებისათვის, შვიდი საუკეთესო მოდელი ურჩია წარმოებისათვის ჩვენი ქვეყნის ფეხსაცმლის საწარმოებს. მათ შორის არის ბავშვის, ქალისა და მოსწავლის ფეხსაცმლის ახალი ნიმუშები, რომლებიც შექმნეს თბილისის ფაბრიკის მოდელიერებმა ა. საკვოვმა, ა. ნაზაროვმა და გ. კარაპეტიანმა.

გაზაფხულ-ზაფხულის სეზონის ახალი მოდელის ფეხსაცმელი გამოირჩევა სილამაზითა და გამძლეობით.

ამჟამად საქართველოს ფეხსაცმლის საწარმოებში მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა გაზაფხულ-ზაფხულის ასორტიმენტის ახალი ნიმუშების ფეხსაცმლის წარმოებაში დასანერგავად. (საქინფ).

## მამაკაცის ახალი ფინდები

„საქტრიკოტაჟის“ თბილისის ფაბრიკამ ახალი წლისათვის აითვისა მამაკაცის ფერადი ფინდების ქსოვა. ეს ფინდები თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდება სხვა ფაბრიკების პროდუქციას, რომელიც აქამდე საქართველოში მოქმედ რესპუბლიკებიდან შემოჰქონდათ.

## ახალგაზრდა მილმგლინავთა მიღწევა

**რუსთავი.** (საქ. კორ.). სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დიდი დიამეტრის მილსაგლინავი საამქროს კოლექტივმა აგრეგატ-400-ის საექსპლოატაციოდ გადაცემის პირველივე დღიდან გაშალა ბრძოლა სახელმწიფო დავალების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ახალგაზრდა მილმგლინავები განსაკუთრებით ნაყოფიერად შრომობენ ახალი სამეურნეო წლის პირველ დღეებში. იანვრის ექვსი დღის საწარმოო დავალება მათ 158 პროცენტით გაანაღდეს და გეგმის გადამეტებით ასობით ტონა მაღალი ხარისხის ფოლადის მილები გაგლინეს.

ყველას გაუსწრო ახალგაზრდა სპეციალისტის, ოსტატ ს. ქუთელიას ბრიგადამ, რომელიც ოსტატ ე. სვეტლიცკის კომკავშირულ ბრიგადას ეჯიბრება. 6 იანვარს ქუთელიას ბრიგადამ დღიური საწარმოო დავალება 225 პროცენტით გაანაღდა.

მილმგლინავებმა ახალი წლის პირველი პროდუქციით დატვირთული ვაგონები გაუგზავნეს ბაქოს, ოდესის, ქუთაისის, გროზნოსა და სხვა ქალაქების საწარმოებს.

ამ დღეებში მილსაგლინავი საამქროს მუშა-მოსამსახურეებმა მთელი ქარხნის კოლექტივს მიმართეს მოწოდებით — ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება 1954 წლის საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. მათ იკისრეს პირველი კვარტალის დავალება 102 პროცენტით გაანაღდონ, ამასთან საგლინავი დანადგარების წარმადობა 33 პროცენტით გაზარდონ, ხოლო მეოთხე კვარტალში გასული წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით მილების გაგლინვა გაადიდონ 4-ჯერ, დაზოგონ 500 ტონა ლითონი და 200 ტონა საწვავი.

მილმგლინავებმა აიღეს გადიდებული ვალდებულებანი და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს როგორც ქარხნის ყველა საგლინავი საამქრო, ისე ბაქოს (სუმგაიტის) მილსაგლინავი ქარხანა.

## გენიჩესკელ კოლმეურნეთა დელეგაცია შრომაში

**მახარაძე.** (საქ. კორ.). გუშინ მახარაძეში ჩამოვიდა უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე სვირიდ სლიშიკი (დელეგაციის ხელმძღვანელი), კოლმეურნეობის მეცხოველეობის ხელმძღვანელი ნიკიტა ბელეჩენკო, მწყემსი საველ რაჟკო, მეღორე ალექსანდრა სოროკა, მწველავი ვერა ჩურსინა, კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი იაკობ ურბიკი, მოანგარიშე ალექსანდრე კრივცოვი.

ძვირფას სტუმრებს სადგურ ნატანებში შეხვდნენ შრომის, ნატანებისა და რაიონის სხვა კოლმეურნეობათა წარმომადგენლები. უკრაინელი მეგობრების პატივსაცემად იქვე გაიმართა სახელდახელო მიტინგი, რომელიც გახსნა მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. საბაშვილმა.

მეგობრებს მხურვალედ მიესალმნენ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ორაგველიძე, ამავე კოლმეურნეობის წევრი უკრაინელი ა. სამისკო, სოფელ შრომის საშუალო სკოლის მოსწავლე ქ. მეგრელიშვილი და ნატანებელი კოლმეურნე გ. გუჯაბიძე.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის ხელმძღვანელმა ს. სლიშიკმა.

მიტინგის დამთავრების შემდეგ სტუმრები შრომაში გაემგზავრნენ. ძველი ჩვეულების თანახმად, გზაში მეგობრებს პურმარილით შეეგებნენ მოხუცი კოლმეურნე მ. კვაჭანტირაძე, უკრაინელი ს. გარბაიდუკი, ლ. გუჯაბიძე, გ. გაგუა და სხვები.

გენიჩესკელები შრომაში რამდენიმე დღეს დარჩებიან, გაეცნობიან შრომისა და რაიონის სხვა კოლმეურნეობათა ეკონომიკას, შეამოწმებენ შრომის კოლმეურნეობასთან გასულ წელს დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების შესრულებას, გააფორმებენ ხელშეკრულებას მიმდინარე წლისათვის.

## ერთი დღე კოლმეურნეობის სალაროსთან

**ოჩამჩირე.** 7 იანვარი. (საქინფ). გასულ წელს გამომუშავებული შრომადღეების ანგარიშში შრომის მაღალი ანაზღაურება მიიღეს სოფელ კოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა. საკოლმეურნეო სალარო უკვე შეუდგა კოლმეურნეებზე მათი შემოსავლის გაცემას.

ბრიგადირ ა. ვეკუას ოჯახმა გასულ წელს 1.267 შრომადღე გამოიმუშავა. ამ შრომადღეების საფასურად მან 41.000 მანეთი მიიღო. ჩაის უხვი მოსავლის ოსტატმა ც. ქარდავამ მიიღო 48.622 მანეთი. აქედან თითქმის ნახევარი პრემია-წანამატია ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებისათვის. ამას გარდა მას ერგება 2.640 კილოგრამი სიმინდი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

სალაროში რიგრიგობით მოდიან კოლმეურნეები — ჩაის უხვი მოსავლის ოსტატები — ჩ. ქუხილავა, ე. ქარაია, ი. ჯომიდავა და სხვები. ერთ დღეს კოლმეურნეობის სალაროდან კოლმეურნეებმა მილიონ მანეთზე მეტი მიიღეს.

## მარმარილო ვარშავისათვის

**თელავი.** (საქ. კორ.). ლოპოტის მარმარილოს კარიერების კოლექტივმა გასული წელი წარმატებით დაამთავრა, გეგმის გადამეტებით ამოიღო და დანიშნულებისამებრ გაგზავნა 90 კუბმეტრი საუკეთესო ხარისხის მარმარილო.

მარმარილოს ამოღებასა და მის გათლაზე მომუშავე შვიდ ბრიგადას შორის ყველაზე უკეთ ბ. ჩაბაკაურის, ტ. ელოშვილის და გ. კირვალიძის ბრიგადებმა იმუშავეს. მათ წლიური გეგმა ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულეს.

ლოპოტის მარმარილოს კარიერების სამმართველომ 400 კუბმეტრი მარმარილო უნდა გაგზავნოს ი. ბ. სტალინის სახელობის ვარშავის მეცნიერებისა და კულტურის სასახლის მშენებლობისათვის. დღეისათვის უკვე გაგზავნილია 200 კუბმეტრი მარმარილო.

წოპის გორაზე, სადაც მარმარილოს კარიერებია, მიუხედავად დიდი თოვლისა, მუშაობა არ წყდება, ახალ წელს ახალი წარმატებებისათვის იბრძვიან.



მხიარულად ატარებენ ზამთრის არდადეგებს თბილისის პიონერები და მოსწავლეები. საახალწლო ნაძვისხეებზე, თეატრებში, ცირკში, კინოებში ბავშვებისათვის იმართება დილები, სპექტაკლები, უჩვენებენ საბავშვო ფილმებს. დიდი გამოცოცხლებაა ამ დღეებში პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. აქ მოწყობილია დიდი ნაძვისხე, კარუსელი, სხვადასხვა ატრაქციონი. გაცხოველებით მუშაობენ წრეები.

**სურათებზე:** (მარცხნიდან): 1. სასახლის ავიამოდელისტთა ლაბორატორიაში პიონერები ამზადებენ თვითმფრინავთა ახალ მოდელებს; 2. საახალწლო ნაძვისხესთან; 3. ნორჩ ნატურალისტთა კაბინეტში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა და ვ. ზარიძისა.

# ჩვენს დიად სამშობლოში

## ასი სახეობის ახალი ინსტრუმენტი

სულ ერთ მესედ გრამს იწონის ბურღი, რომლის გამოშვებას გასული წლის დასასრულს დაეუფლა მოსკოვის ქარხანა „ფრეზერი“. ასეთი ბურღის დიამეტრი ორი მეათედი მილიმეტრია. ინსტრუმენტი განკუთვნილია ხელსაწყოთმშენებელი და საათის ქარხნებისათვის. ამავე ქარხნებისთვის „ფრეზერში“ კეთდება უწვრილესი გამხრახნები და ქანჩსაჭრელები. სახეხ პროფილიანი სპეციალური ჭია-ფრეზები შექმნა მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხანამ. მათი საშუალებით ამუშავებენ კბილანებს, რომელთა კბილების სიმაღლე 4-5 მეათედ მილიმეტრს არ აღემატება.

საინსტრუმენტო მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოთა პროდუქციას იყენებენ ავტომობილის ქარხნებში და მტს-ების სახელოსნოებში, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობასა და ხისდამმუშავებელ მრეწველობაში. გასულ წელს მრეწველობის სხვადასხვა დარგისათვის შექმნილია ასზე მეტი სახეობის ინსტრუმენტი. მნიშვნელოვნად გაფართოვდა მათი დამზადება სალი შენადნობებისაგან. ამ ინსტრუმენტებს იყენებენ ლითონის ჩქაროსნული ჭრისათვის. პირველად აითვისეს ცილინდრული ფრეზების წარმოება, რომელთა წარმადობა ერთიხუთად აღემატება ჩვეულებრივს.

დაახლოებით ოცი სახეობის ახალი ინსტრუმენტია შექმნილი კარისა და ფანჯრის ალათის, თხილამურების, ავეჯისა და სხვ. დამზადებისათვის. მათი გამოყენება საშუალებას იძლევა ზუსტად დამუშავდეს ხე წამში 20-50 მეტრის სიჩქარით.

ქარხნებმა დაამუშავეს ინსტრუმენტის ბევრი ახალი ასაწყობი კონსტრუქცია. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ იაფი მარკის ფოლადი და მხოლოდ საჭრელი ნაწილები გაკეთდეს ძვირად ღირებული სალი შენადნობისა და სწრაფმჭრელი ფოლადისაგან. ტომსკის ქარხანაში ბიმეტალური ფრეზის დამზადებაზე იხარჯება ერთიორად ნაკლები ფოლადი, ვიდრე მთლიანი ლითონის ფრეზის დამზადებაზე. ამასთან ამ ფრეზის მედეგობა 30 პროცენტით მეტია.

საინსტრუმენტო ქარხნები იწყებენ სახარატო საჭრისების გამოშვებას, რომელთა სალი შენადნობის ფირფიტები მაგრდება ისე, რომ მუშას ადვილად შეუძლია დამუშავებული საჭრელი ნაწილი შეცვალოს ახლით. ასაწყობი ფრეზების თავებისათვის, რომელთა წონა ასამდე კილოგრამია, იქმნება ურთიერთშემცვლელი დანები, რაც შესაძლებლობას იძლევა ჩარხიდან თავის მოუხსნელად შეიცვალოს ისინი.

(საქინფ).

## ახალი ტექნიკა — საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე

წელს მნიშვნელოვნად დიდდება ჩვენი ქვეყნის საბჭოთა მეურნეობების მანქანა-ტრაქტორთა პარკი. ახლა მეურნეობები იღებენ სხვადასხვა მანქანებსა და მექანიზმებს საგაზაფხულო თესვისათვის.

გაზაფხულზე საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე, რომლებიც გათვალისწინებულია ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად, პირველად გამოვა 500-მდე ტრაქტორი „ბელარუსი“ და „კდპ-35“. მეურნეობებში იმუშავებენ ახალი სათესი მანქანები „სშ-6ა“ ბოსტნეულის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვისათვის და მარცვალ-ბალახის სათესი მანქანები, აგრეთვე 300 ჩითილსარგავი მანქანა და 800-მდე კარტოფილსათესი მანქანა. საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებს ამარაგებენ ბოსტნეულით, მიიღებენ გაუმჯობესებულ დაზგებს ტორფნეშომპალის ქოთნების დასამზადებლად. თვითეული მათგანის წარმადობა 8 ათასამდე ქოთანია საათში.

საგაზაფხულო თესვის სამუშაოებისათვის საბჭოთა მეურნეობებს უკვე გაეგზავნათ 1.700-მდე სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, 2 ათასზე მეტი სათესი მანქანა და კულტივატორი. (საქინფ).

## უნგრეთის ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების გამოფენის წარმატება მოსკოვში

უნგრელი მშრომელების მრავალფეროვანი შემოქმედება, რომელიც წარმოდგენილია უნგრეთის ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების გამოფენაზე, მოსკოველთა ყურადღებას იპყრობს.

ისტორიის მუზეუმის ხუთ დარბაზში, სადაც მოწყობილია თვითმყოფადი ოსტატების მიერ შექმნილი საუკეთესო ნიმუშების ექსპოზიცია, მუდამ ბევრი ხალხია. მუშები, მოსამსახურეები და მოსწავლე ახალგაზრდობა ინტერესით ათვალიერებენ ხესა და ქვაზე მოჩუქურთმებულ ნაშრომებს, ხელოვან მეთუნეთა ნაკეთობებს, მწყემსების მიერ რქის, ტყავისა და ხისაგან დამზადებულ ნაწარმოებებს. საყოველთაო აღტაცებას იწვევს მქარგავთა ოსტატობა, ლამაზი ეროვნული კოსტიუმები, ქსოვილები, იუველირთა, მჭედელთა და მინის ოსტატთა შემოქმედება.

შთაბეჭდილებათა წიგნშია მრავალი ჩანაწერი:

— გამოფენამ ძლიერ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

უნგრელი ხალხის შემოქმედება გვაოცებს თავისი სილამაზით, სისადავითა და სინატიფით.

— დე განმტკიცდეს უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობა.

პირველ კვირაში უნგრეთის გამოფენა ინახულა დაახლოებით 25 ათასმა კაცმა, მოსკოვის საწარმოთა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა კოლექტივების მრავალმა ექსკურსიამ. (საქინფ).

ეროვნული

### პარტიული ცხოვრება

# განუხრელად ვაუმჯობესოთ პარტიული მუშაობის მეთოდები

## ფოთის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

ახორციელებენ რა პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებებს ფოთის საქალაქო პარტიული ორგანიზაციები აუმჯობესებენ პარტიულ-პოლიტიკურ და პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას, უკეთ წყვეტენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანებს. ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს 1953 წლის პროგრამა, მნიშვნელოვნად აამაღლეს პროდუქციის ხარისხი და შეამცირეს მისი თვითღირებულება, გაზარდეს შრომის ნაყოფიერება.

ამ მიღწევებთან ერთად, საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა, მომხსენებელმა — ქალაქკომის მდივანმა ამხ. ა. შენგელიამ და კამათში გამოსულებმა ყურადღება გაამახვილეს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და მისი აღმოფხვრის ღონისძიებებზე.

აღინიშნა, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი ჯერ კიდევ ღრმად ვერ სწვდება საწარმოთა ეკონომიკას, ხშირად არ იღებს გადამწყვეტ ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამის შედეგად არის ისეთი საწარმოები, რომლებიც გეგმას ვერ ასრულებენ. კონფერენციამ მწვავედ გააკრიტიკა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის, მაცივრისა და სხვა საწარმოთა ხელმძღვანელები, რომელთა ცუდი მუშაობით გასულ წელს სახელმწიფოს სამმილიონამდე მანეთის პროდუქცია დააკლდა. ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა (დირექტორი ბ. მირცხულავა) 22 სხვადასხვა სახის სამრეწველო პროდუქციის ნაცვლად მხოლოდ 7 სახის პროდუქცია აითვისა. კომბინატის სუსტი მუშაობა იმითაც აიხსნება, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია სწორად ვერ ახორციელებს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, სუსტად არის დაყენებული მუშა-მოსამსახურეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების მუშაკები კი მხოლოდ შორიდან იცნობენ ამ საწარმოს მუშაობას.

დელეგატები მიუთითებდნენ, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი ჯერ კიდევ სუსტად არის დაკავშირებული პარტიულ ორგანიზაციებთან. მ. ბიკოვმა და კ. წულაიამ აღნიშნეს, რომ საქალაქო კომიტეტის მუშაკები ღრმად ვერ სწვდებიან პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, რომ ცოცხალ, ყოველდღიურ ხელმძღვანელობას ხშირად საერთო, ზერელე მითითებების გაცემით ცვლიან.

ჩამორჩენილ საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, საწარმოების ხელმძღვანელებთან ერთად, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეს. სპეციალისტებისა და მუშებისათვის არ იკითხება ლექცია-მოხსენებები მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე.

კამათში გამოსულმა ნავსადგურის პარტორგანიზაციის მდივანმა ა. ხორავამ ყურადღება გაამახვილა კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საკითხებზე. მან გააკრიტიკა პარტიის საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფისა და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობის ნაკლოვანებანი. კონფერენციაზე მხილებულ იქნა პარტიულ განათლების ქსელში არსებული სხვა ნაკლოვანებებიც. დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული მუშაობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებთან.

კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად ცნო საანგარიშო პერიოდში საქალაქო კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობა, აირჩია საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის დელეგატები.

* * *

გაიმართა საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. შენგელია, მეორე მდივნად — ამხ. ტ. გუჯაბიძე, ხოლო მდივნად მტს-ის ზონის მიხედვით — ამხ. თ. მანაგაძე.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



თბილისის კინომექანიკოსთა სკოლა ამზადებს ხმოვანი კინოს მეორე თანრიგის მექანიკოსებს. სკოლა ყოველწლიურად უშვებს 120 კაცს, რომლებიც მომსახურებას უწევენ სოფლის კინოწერტებს.

სურათზე: ხუთოსანი მოსწავლეები (მარცხნიდან) — ლ. ყარალაშვილი (ლაგოდეხის რაიონი) და შ. ლომთათიძე (მახარაძის რაიონი) სტაციონარულ კინოაპარატზე პრაქტიკული მეცადინეობის დროს.

ფოტო შ. გოქაძისა.

## კულტურული მომსახურება მწყემსებს

ახმეტის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას სტავროპოლის მხარეში საზამთრო საძოვრებზე მყოფ მეცხვარეობის ფერმების მწყემსთათვის გაგზავნილი აქვს მოძრავი კინოდანადგარი და ბიბლიოთეკა.

მწყემსებს უჩვენებენ საბჭოთა კინოხელოვნების საუკეთესო ფილმებს: „ახალგაზრდა გვარდია“, „დიადი განთიადი“, „თქმულება ციმბირის მიწაზე“, „დავით გურამიშვილი“ და სხვ.

მოძრავ ბიბლიოთეკას ბევრი წიგნი აქვს სპეციალურ საკითხებზე, აგრეთვე მხატვრული ლიტერატურა, რასაც მწყემსები ინტერესით კითხულობენ.

(„კომუნისტის“ კორ.).

## ხალიჩები წლიური გეგმის გადამეტებით

დიდი შრომითი აღმავლობაა ცხაკაიას ხალიჩების საქსოვ ფაბრიკაში. ფაბრიკის კოლექტივი მონდომებით იბრძვის მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.

გასული წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა მეხალიჩეებმა 20 დეკემბრისათვის 106 პროცენტით შეასრულეს. გეგმის ზევით გამოშვებულია 2.500 მეტრზე მეტი ხალიჩა. გამოშვებული პროდუქციიდან პირველი ხარისხისაა 83 პროცენტი, ნაცვლად გათვალისწინებული 82 პროცენტისა. (ს. კუჭავა).

## სასკოლო პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი

ბათუმი. (საკ. კორ.). ამას წინათ პარტიის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო სასკოლო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ორდღიანი სემინარი.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექცია-მოხსენებანი თემებზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება“, „პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში“, „პარტიული კრება კომუნისტთა აღზრდის სკოლაა“, „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“, „სასკოლო პარტიული ორგანიზაციების მუშაობის თავისებურებანი“.

### მზადება საგაზაფხულო თესვისათვის

# თვითკმაყოფილების ატმოსფეროში

იმ გარემოებამ, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში საგაზაფხულო კულტურების თესლის გამოყოფის დავალება შეასრულეს, თვითკმაყოფილების ატმოსფერო შექმნა სტალინირის რაიონში. თესლის გაწმენდისადმი გულგრილ დამოკიდებულებას თავიდანვე ყურადღება არ მიექცა. დღესხვალეობაში განვლო თესლის კონდიციამდე აყვანის დაწესებულმა ვადებმა. პასუხსაგები საქმისადმი უყურადღებობამ რაიონი არასახარბიელო ფაქტის წინაშე დააყენა.

კოლმეურნეობებს გაზაფხულისათვის ესაჭიროებათ 1.167 ცენტნერი ხორბლის თესლი; აქედან გასული წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებისათვის სათეს კონდიციამდე აყვანილი იყო მხოლოდ 105 ცენტნერი.

სოფელ მარმაზეთის კოლმეურნეობიდან თესლის ხარისხის შემმოწმებელ ლაბორატორიაში ჯერ კიდევ 27 ნოემბერს წარადგინეს საგაზაფხულო ხორბლის თესლის ნიმუში. მაშინ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა. კაბულოვს განუმარტეს, რომ საჭირო იყო თესლის გულმოდგინე გაწმენდა და ეს საქმე მას მოკლე დროში უნდა მოეგვარებინა. მას შემდეგ თვეზე მეტმა დრომ განვლო, ა. კაბულოვი კი არ ჩქარობს.

ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ბელოთის კოლმეურნეობაში. აქ ყოველწლიურად მარცვლეულის დაბალ მოსავალს იღებენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ივ. წიქარაძეს აქედან არავითარი დასკვნები არ გამოაქვს. მან დაივიწყა, რომ საჭიროა ამთავითვე იზრუნოს მიმდინარე წლის უხვი მოსავლისათვის. კოლმეურნეობას ესაჭიროება 64 ცენტნერი გაზაფხულის ხორბლის თესლი, მაგრამ ჯერ ერთი ცენტნერიც არა აქვთ კონდიციური.

საგაზაფხულო ხორბლის თესლის მომზადებაში გულგრილობის ფაქტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ძლიერ ჭიანურდება ქერის თესლის გაწმენდა (2.750 ცენტნერიდან კონდიციამდე აყვანილია მხოლოდ 134 ცენტნერი). სტალინირისა და ქსუისის მტს-ების ხელმძღვანელები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას ასეთი სავალალო მდგომარეობისათვის. სტალინირის მტს-ის მომსახურების სოფელ ხეთაგუროვის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. ქელეხსაევი) ესაჭიროებათ 125 ცენტნერი ქერის თესლი, ხოლო დღემდე არც ერთი ცენტნერი არა აქვთ აყვანილი სათეს კონდიციამდე.

კოლმეურნეობების წინაშე სერიოზული ამოცანებია დასახული კარტოფილის მოსავლიანობის გასადიდებლად. მაგრამ ამ ძვირფას სასურსათო კულტურას რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში პატივს არ სცემენ. პარტიის სტალინირის რაიკომისათვის ცნობილია, რომ მიმდინარე წელსაც ბევრგან სათესლე კარტოფილის გამოყოფას არ მიექცა ჯეროვანი ყურადღება. მართალია, რაიკომის ბიურომ ჯერ კიდევ გასული წლის 17 ნოემბრის სხდომაზე იმსჯელა ამ საკითხზე. მიიღეს გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებდა კარტოფილის გამოყოფის დავალების 25 ნოემბრამდე შესრულებას თვითეულ კოლმეურნეობაში. დიდი ხანია გავიდა ეს ვადა, კოლმეურნეობებს კი მაინც აკლიათ 2.000-მდე ცენტნერი სათესლე კარტოფილი. სოფელ სვერის (თავმჯდომარე ი. ბაბაევი), ბენდერის (თავმჯდომარე დ. კუდუხოვი) კოლმეურნეობებს ესაჭიროებათ 50-100 ცენტნერი კარტოფილი. დღემდე კი მათ სრულიად არ მოეპოვებათ თესლი.

მაღალხარისხოვანი სათესლე ფონდის დროზე შეუქმნელად შეუძლებელია მიმდინარე წლის უხვ მოსავალზე ლაპარაკი. განა ამის შესახებ საჭიროა განმარტება პარტიის სტალინირის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკებისათვის, რომლებიც გადამჭრელ ზომებს არ იღებენ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის?

ვ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მუშაობაში ხელს არ უწყობენ

პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად მარნეულის რაიონის მტს-ებსა და კოლმეურნეობებში სამუშაოდ 35 სპეციალისტი წავიდა, რათა პრაქტიკულად მიიღონ მონაწილეობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების განხორციელების საქმეში. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები დიდი ძალაა. მაგრამ ზოგან ამ ძალას სათანადოდ არ აფასებენ. ჩასულ სპეციალისტებს ალმაცერად უყურებენ, სათანადო საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობებს არ უქმნიან.

ზოოტექნიკოსმა ვ. მატისკომ, რომელიც სოფელ ალამამედლოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს, კოლმეურნეებისაგან სიგნალი მიიღო, რომ ფერმაში, სადაც გამგედ მ. ნამაზოვია, უხეშად ირღვევა პირუტყვის მოვლისა და კვების წესები. ფერმის გამგეს ბრიგადირებად და მწველავებად შემოკრებილი ჰყავს თავისი ოჯახის წევრები და ნათესავები, რომლებსაც სხვებთან შედარებით უკეთეს ძროხებს მიუჩენს ხოლმე მოსავლელად და ამ გზით გადაჭარბებით ასრულებინებს რძის ჩაბარების გეგმებს. შემოწმებით ეს ფაქტები დადასტურდა, მაგრამ ეს როდი ესიამოვნა მ. ნამაზოვს. მან მატისკოს უხეშად მიმართა:

— რა შენი საქმეა ფერმის შემოწმება, შენი მოვალეობაა ძროხებს წმენდე. თუ კიდევ გაბედავ ასეთ რამეს, ვიჯლბს საიდანაც მოხვედი, იქვე დაბრუნდეო.

მუშაობის დაწყებიდან ორნახევარი თვის შემდეგ კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ნ. ისმაილოვი) მატისკოს დიდი ვაივაგლახით საცხოვრებლად გამოუყო ოთახი, რომელსაც კარ-ფანჯარა არა აქვს.

მუშაობის მინიმალური პირობები არ შეუქმნეს ამავე კოლმეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტს ვ. ფოტიადს. თავი რომ არ შეეწუხებინათ მისი სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა იოლ გზას მიმართეს — გასული წლის დეკემბერში ფოტიადი სრულიად უსაფუძვლოდ, სახელდახელოდ მოხსნეს სამუშაოდან. მაგრამ საქმეში ყაჩაღანის მტს-ის ხელმძღვანელთა ჩარევის შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტი აღადგინეს.

სოფელ ყაჩაღანის კოლმეურნეობა „კომუნიზმში“ მუშაობა დაიწყეს ვეტექიმმა კ. შონვაძემ და მისმა მეუღლემ ზოოტექნიკოსმა ნ. ფილიპოვამ. პირველ ხანებში კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ისმაილოვი მათ ყოველმხრივ დახმარებას შეჰპირდა, მაგრამ შემდეგ მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ჩამოსულ სპეციალისტებს კოლმეურნეობის კანტორაში საცხოვრებლად ერთი ოთახი გამოუყო. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ უყურადღებოდ დატოვა ნ. ფილიპოვას მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ფერმიდან ცალკე გაეყვანათ დაავადებული პირუტყვი, და თავისი სიჯიუტით ჯანსაღი პირუტყვი დაავადების საფრთხეში ჩააყენა. ა. ისმაილოვის მიერ სპეციალისტთა უგულებელყოფა იქამდე მივიდა, რომ მან 1953 წლის 11 ნოემბერს ყაჩაღანის მტს-ში შემდგარ თათბირზე მოურიდებლად განაცხადა:

— რაში გვჭირდება ზოოტექნიკოსი და მისი კონტროლი, როცა ჩვენ სარევიზიო კომისია გვყავს (!).

მარნეულის მტს-ში სამუშაოდ მისული ახალგაზრდა სპეციალისტი ნ. ყუფარაძე დაინიშნა უფროს მექანიკოსად მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დარგში, მაგრამ მტს-ის ზონაში მას დღემდე ვერ გამოუნახეს შესაფერი სამუშაო.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მიღწევა, რასაც პარტია და მთავრობა საბჭოთა ხალხის წინაშე საბრძოლო ამოცანად აყენებენ, შეუძლებელია კოლმეურნეობებისა და მტსების მაღალკვალიფიციური კადრებით განუმტკიცებლად. საჭიროა ეს ახლავე გაითვალისწინონ თავიანთ მუშაობაში პარტიის მარნეულის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი

სამასი წლის წინათ, 1654 წლის 8 (18) იანვარს, პერეიასლავის რადაზე უკრაინელმა ხალხმა ერთსულოვნად გამოხატა თავისი ნება და სამუდამოდ შეუერთა თავისი ბედი მოძმე რუს ხალხს. რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი ღირსშესანიშნავი ისტორიული თარიღია, უკრაინელი და რუსი ხალხების და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულია.

რუსეთთან უკრაინის შეერთება ორი მოძმე ხალხის წინა ისტორიული განვითარების კანონზომიერი შედეგი იყო. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენით დამთავრდა უკრაინელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ — რუსეთის ერთიან სახელმწიფოში რუს ხალხთან გაერთიანებისათვის.

რუსეთთან უკრაინის შეერთება შეესაბამებოდა „ენითაც, საცხოვრებელი ადგილითაც, ხასიათითაც და ისტორიითაც ესოდენ მახლობელი“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 25, გვ. 97) უკრაინელი და რუსი ხალხების ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს.

უკრაინელმა ხალხმა, სამუდამოდ რომ დაუკავშირა თავისი ბედი ღვიძლ ძმას რუს ხალხს, რომელშიც იგი ყოველთვის ხედავდა თავის საიმედო მოკავშირესა და დამცველს, ამით იხსნა თავი და შეინარჩუნა არსებობა როგორც ერმა. აღმოსავლეთი სლავების შთამომავალთა სამი შტო — რუსები, უკრაინელები და ბელორუსები — წარმომდგარი არიან ერთიანი ფესვიდან — ძველი რუსი ეროვნებიდან, რომელმაც ათასი წლის წინათ შექმნა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ყველაზე კულტურული სახელმწიფო — კიევის რუსეთი.

ძველი რუსეთის სახელმწიფოს დაქუცმაცება ფეოდალურ სამთავროებად და ოლქებად იწვევდა მათი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების თანდათანობით განკერძოებას და ამას თან ახლდა დამახასიათებელ თავისებურებათა მომწიფება რუს, უკრაინელ და ბელორუს ეროვნებათა კულტურაში, ენასა და ყოფაცხოვრებაში. XIII საუკუნეში მონღოლ-თათართა შემოსევამ დაასუსტა რუსეთი და კიდევ უფრო განაკერძოვა ძველი რუსი ეროვნების ცალკეული ნაწილები. უკრაინისა და ბელორუსიის მიწაწყალი პოლონელ და ლიტველ ფეოდალთა ბატონობაში მოექცა და თავისი სახელმწიფოებრიობა დაკარგა.

მაგრამ არავითარ გაჭირვებასა და განსაცდელს არ შეეძლო გაეწყვიტა ის მტკიცე კავშირი, რაც მონათესავე სლავ ხალხებს ერთმანეთთან აერთებდა. რუსმა, უკრაინელმა და ბელორუსმა ხალხებმა საუკუნეებში გამოატარეს და შეინარჩუნეს თავიანთი წარმოშობის ერთიანობის, თავიანთი ენისა და კულტურის სიახლოვის შეგნება.

XIV-XVI საუკუნეებში რუსმა ხალხმა თათარ-თურქთა შემოსევასთან ბრძოლაში დაძლია ფეოდალური დაქუცმაცება და შექმნა ერთიანი მძლავრი ცენტრალიზებული სახელმწიფო დედაქალაქ მოსკოვით. ამავე დროს უკრაინის მიწაწყალზე, რომელიც ხელში ჩაიგდეს პოლონელმა მაგნატებმა, დამყარდა პოლონელ ფეოდალთა ულმობელი ტირანიის რეჟიმი, სასტიკი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის რეჟიმი. უკრაინის მიწაწყალს იკლებდა და აპარტახებდა თათარ-თურქთა ხანების შემოსევა. უკრაინელი ფეოდალები ღალატობდნენ უკრაინის ეროვნულ ინტერესებს და ეხმარებოდნენ პოლონელ შლიახტას იმაში, რომ კიდევ უფრო მაგრად წაეჭირა ყელში უკრაინელი ხალხისათვის მონობის უღელი. რუსეთის ერთიან სახელმწიფოში მოძმე რუს ხალხთან გაერთიანება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი გახდა უკრაინელი ხალხისათვის.

XVI საუკუნის დამლევს — XVII საუკუნის პირველ ნახევარში უკრაინაში ზედიზედ ხდებოდა ხალხის მძლავრი აჯანყებანი კოსინსკის, ნალივაიკოს, ტარას ფედოროვიჩის, პავლიუკის, ოსტრიანინის გუნის და სხვების წინამძღოლობით. უკრაინაში განმათავისუფლებელ მოძრაობას მხარს უჭერდა რუსი ხალხი. ამ აჯანყებათა ისტორიულმა გაკვეთილებმა დიდი გავლენა მოახდინა უკრაინელი ხალხის 1648-1654 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის მიმდინარეობაზე.

1648-1654 წლების განმათავისუფლებელ ომს სათავეში ჩაუდგა უკრაინელი ხალხის სახელოვანი შვილი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი ბოგდან ხმელნიცკი. ხმელნიცკის ისტორიული დამსახურება ის იყო, რომ, გამოხატავდა რა უკრაინელი ხალხის მისწრაფებას რუს ხალხთან მჭიდრო კავშირისადმი და სათავეში ედგა რა უკრაინის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესს, მას სწორად ესმოდა ამ სახელმწიფოებრიობის ამოცანები და პერსპექტივები, უკრაინელი ხალხის ხსნას ხედავდა მის გაერთიანებაში დიდ რუს ხალხთან.

ეს ომი იყო მთელი უკრაინელი ხალხის სამართლიანი ომი პოლონელი შლიახტის უღლის წინააღმდეგ, მოძმე რუს ხალხთან ერთიან სახელმწიფოში გაერთიანებისათვის.

ამ ბრძოლაში უკრაინელმა ხალხმა უმაგალითო მამაცობა და სიმტკიცე, დიდი მხედრული ოსტატობა გამოიჩინა. მაგრამ რუსი ხალხის დაუხმარებლად, თავისი ძალებით მას არ შეეძლო ეხსნა უკრაინა მონობისაგან. გამოხატავდა რა უკრაინელი ხალხის იმედებსა და მისწრაფებებს, ხმელნიცკი ომის დაწყებიდანვე მიმართავდა რუსეთის სახელმწიფოს თხოვნით დახმარების გაწევისა და რუსეთის შემადგენლობაში უკრაინის მიღების შესახებ.

1654 წლის 8 (18) იანვარს ქალაქ პერეიასლავში შეკრებილმა სახალხო რადამ საზეიმო ვითარებაში მიიღო თავისი ისტორიული გადაწყვეტილება. უკრაინელი და რუსი ხალხების გაერთიანებულმა ძალებმა ძლევამოსილად დაამთავრეს ომი. უკრაინის ძირითადი ნაწილი და ქალაქი კიევი რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდნენ.

რუსეთთან უკრაინის შეერთებას, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს მაშინ სათავეში ედგნენ მეფე და მემამულეები, უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინელი და რუსი ხალხების შემდგომი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის. ცარიზმის, რუსი და უკრაინელი ფეოდალებისა და ბურჟუაზიის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ, რუსეთისა და უკრაინის ხალხთა საუკუნეობრივი განუყრელი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა მათს ერთობლივ ბრძოლაში საერთო მჩაგვრელებისა და ყველა გარეშე მტრის წინააღმდეგ.

უკრაინელი ხალხი მთელი შემდგომი ისტორიის მანძილზე მუდამ გამოდიოდა რუსი ხალხის ერთგულ მეგობრად და მოკავშირედ.

რუს ხალხთან ერთად უკრაინელმა ხალხმა გმირული წინააღმდეგობა გაუწია კარლოს XII-ის შემოსევას XVIII საუკუნის დამდეგს და ნაპოლეონის არმიის შემოსევას 1812 წელს. მტრების არავითარ ცდებს არ შეეძლო გაეწყვიტა უკრაინელი და რუსი ხალხების ძმობისა და მეგობრობის მჭიდრო კავშირი.

XIX საუკუნეში რუსი ხალხის დიდი შვილები ბელინსკი და გერცენი, დობროლიუბოვი და ჩერნიშევსკი გაბედულად გამოვიდნენ ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ, არარუსი ხალხების ეროვნული და კოლონიური დამონების წინააღმდეგ. მათ მხურვალედ უყვარდათ უკრაინელი ხალხი, თანაუგრძნობდნენ მას, მხარს უჭერდნენ მის განმათავისუფლებელ ბრძოლას. მათ უდიდესი გავლენა მოახდინეს უკრაინაში რევოლუციური იდეოლოგიის განვითარებაზე. უკრაინელი ხალხის დიდი შვილი ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკო როგორც პოეტი, მოაზროვნე, რევოლუციონერი ჩამოყალიბდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მძლავრი და კეთილმყოფელი გავლენით.

რუსეთთან უკრაინის შეერთებამ ერთიან სახელმწიფოდ ხელი შეუწყო ორი მოძმე ხალხის კულტურის განვითარებას. მოწინავე რუსი ადამიანები დიდად აფასებდნენ და ყოველმხრივ უჭერდნენ მხარს XVIII-XIX საუკუნეების უკრაინული მეცნიერებისა და ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებს. უკრაინელ და რუს მეცნიერთა მჭიდრო თანამშრომლობამ უზრუნველყო მაღალი დონე ორი მოძმე ხალხის მეცნიერებისა და კულტურისა, რომლებმაც საპატიო ადგილი დაიკავეს მსოფლიო კულტურაში.

უკრაინელმა ხალხმა მსოფლიოს მისცა ხელოვნების ისეთი შესანიშნავი მოღვაწენი, როგორიც იყვნენ მწერლები ტ. შევჩენკო, მ. ვოვჩოკი (მ. მარკოვიჩი), ი. ფრანკო, მ. კოციუბინსკი, ლესია უკრაინკა, კომპოზიტორი ნ. ლისენკო, დრამატურგი მ. კროპივნიცკი, მსახიობები პ. საქსაგანსკი, მ. ზანკოვეცკაია და სხვები.

მას შემდეგ, რაც რუსეთი კაპიტალიზმის პერიოდში შევიდა, უკრაინაში, ისევე როგორც ველიკოროსიაში, სწრაფად იზრდებოდა ყველაზე მოწინავე, რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ხალხის მასების ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. რუსეთის მუშათა კლასი რუსეთის ყველა ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ჰეგემონი იყო. უკრაინის პროლეტარიატი რუსეთის მუშათა კლასის ერთგულ მოკავშირედ გამოდიოდა. XIX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის მუშათა კლასს სათავეში ჩაუდგა დიდი ლენინი.

უკრაინაში რევოლუციური მუშათა მოძრაობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ლენინურ გაზეთ „ისკრას“, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა უკრაინის პროლეტარიატის მოძრაობას.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა ისტორიულ ბედში მობრუნების მომენტი იყო ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შექმნა. კომუნისტური პარტიის ფუძემდებელმა ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა პარტიის იდეური, ორგანიზაციული, ტაქტიკური და თეორიული საფუძვლები, დაიცვა მარქსისტული პარტიის წყობის ინტერნაციონალისტური პრინციპი.

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში უკრაინის პროლეტარიატი რუსეთის მუშებთან ერთად გამოვიდა თვითმპყრობელობისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. რევოლუციამ დაანახვა უკრაინის მშრომელებს, რომ მხოლოდ რუსეთის მუშათა კლასთან კავშირში, რუსეთის ყველა ხალხთა მშრომელებთან ერთობლივ ბრძოლაში, მხოლოდ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შეიძლება მიღწეულ იქნას გამარჯვება თვითმპყრობელობაზე, მოპოვებულ იქნას საკუთარი ეროვნული და სოციალური განთავისუფლება.

1917 წლის ოქტომბერში რუსეთის მუშათა კლასმა ულარიბეს გლეხობასთან ერთად მოახდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. საბჭოთა რევოლუციის გამარჯვება მოასწავებდა ძირეულ გარდატეხას რუსეთის ხალხთა ცხოვრებაში, მან დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის გამარჯვების ერას. ოქტომბრის რევოლუციამ იხსნა ჩვენი სამშობლო უცხოეთის კაპიტალის მიერ დამონებისაგან, მოუტანა რუსეთის ყველა ხალხს სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლება, გაუხსნა გზა მათს ეკონომიურ და კულტურულ აყვავებას.

„რუსი ხალხის შემდგომ, — ამბობდა ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი, — უკრაინელი ხალხი პირველი დაადგა ამ გზას. ისტორიული თავისებურება აქ ის იყო, რომ, დაადგა რა საბჭოთა გზას, უკრაინელმა ხალხმა, ბოლოსდაბოლოს, მიაღწია თავისი საუკუნეობრივი ოცნების განხორციელებას, შექმნა თავისი ნაციონალური უკრაინული სახელმწიფო და ამით საფუძველი ჩაუყარა თავისი ისტორიის ახალ და ნამდვილად სახელოვან ეპოქას“ („პრავდა“, 1948 წ. 25 იანვარი).

1917 წლის ნოემბერში საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“, რომელშიც გამოცხადებული იყო რუსეთის ყველა ეროვნების თავისუფლება, ხალხებს შორის ნებაყოფლობითი კავშირის პოლიტიკა. 1917 წლის დეკემბერში სრულიად უკრაინის საბჭოების პირველმა ყრილობამ გამოაცხადა უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა. გამოხატა რა მთელი უკრაინელი ხალხის ნება, ყრილობამ გამოაცხადა, რომ მხარს უჭერს რუსეთის საბჭოთა მთავრობას, რომ საბჭოთა უკრაინა ყოველმხრივ განამტკიცებს მეგობრობას ყველა ხალხთან შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის, ახალი, სოციალისტური საზოგადოების ერთობლივი მშენებლობისათვის.

მაგრამ ახალგაზრდა უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკას მძიმე განსაცდელთა გადატანა მოუხდა, სანამ მშვიდობ-

# ორი რესპუბლიკის მეშახტეთა თანამეგობრობა

ძმური მეგობრობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული სოციალისტური სამშობლოს ქვანახშირის ორი აუზის — დონბასისა და ტყიბულის მეშახტეთა კოლექტივები. მათი ურთიერთ დაახლოება ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ დაიწყო. სტახანოვური მოძრაობის გარიჟრაჟზე აქ დონბასიდან სამუშაოდ მოვიდა ათობით გამოცდილი მეშახტე. ბევრი მათგანი ცვლასა და ბრიგადას ჩაუდგა სათავეში და თავდადებული შრომით ტყიბულელ მეშახტეთა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მათ შორის არიან სტახანოვური შრომის ოსტატი ნ. კირიაკი, ვ. სისიუკოვი, ნ. გარბაჩი.

არასოდეს არ დაავიწყდებათ ტყიბულელებს 1939 წლის სექტემბერში დონბასიდან მეშახტეთა პირველი დელეგაციის ჩამოსვლა. დელეგატებს შორის იყო ნოვატორი მეშახტე, ახალი, მძლავრი მოძრაობის სულისჩამდგმელი ალექსი სტახანოვი. მან ბევრი რამ ასწავლა საქართველოს მეშახტეებს, პრაქტიკულად დაეხმარა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებაში, ახალი სამთო ტექნიკის დანერგვასა და მუშაობის მოწინავე მეთოდების გავრცელებაში.

ომისშემდგომ წლებში კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა უკრაინელ და ქართველ მეშახტეთა მეგობრობა.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის მოწინავე შახტებში, საექსპლოატაციო უბნებში და ცვლებში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებამ რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღნიშვნის შესახებ. ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავად ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება.

იუბილესათვის მზადების დღეებში განსაკუთრებით მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა გელათის შახტის მოწინავე კოლექტივმა, რომელიც „კრასნოლუჩუგოლის" № 2 შახტის კოლექტივს ეჯიბრება. დონბასელთა მაგალითისამებრ წელს აქ მეტად მნიშვნელოვანი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებები განახორციელეს — დანერგეს ახალი სამთო მექანიზმები, გაადიდეს მოქმედ სანგრევთა რიცხვი, გააუმჯობესეს შრომის პირობები, რითაც შახტებმა ვადაზე ადრე გაანაღდეს ქვანახშირის ამოღების გასული წლის დავალება და გეგმის გადამეტებით ასობით ტონა ქვანახშირი ამოიღეს. ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების შედეგად შახტში 480 ათასი მანეთის ეკონომია გასწიეს. საექსპლოატაციო უბნებს შორის ყველას გაუსწრო შ. ცნობილაძის უბანმა.

1953 წლის თებერვლიდან ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მოლოტოვის სახელობისა და ალექსანდრიაუგოლის ტრესტის № 2-3 შახტებს შორის. ორივე შახტის კოლექტივებმა იკისრეს ვადაზე ადრე გაენაღდებინათ ახალი ხუთწლედის მესამე წლის დავალება. ამ დღეებში ტყიბულელებმა შეაჯამეს განვლილი მუშაობის შედეგები. გამოირკვა, რომ ნაკისრი ვალდებულებები გადაჭარბებით გაენაღდებინათ. გეგმის გადამეტებით შახტში უკვე ამოიღეს რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი, 6 მანეთითა და 78 კაპიკით შეამცირეს ტონა სათბობის თვითღირებულება. მომჭირნეობის რეჟიმის შედეგად გაწეულია 980 ათასი მანეთის ეკონომია. შახტში ფართოდ დაინერგა აღმავალ სამთო გამონამუშევრების ლითონით გამაგრება, რამაც კიდევ უფრო უხიფათო გახადა შრომა, დაზოგა დიდძალი ხის სამაგრი მასალა. შახტის კოლექტივმა გადაწყვიტა თავისი წარმატებების შესახებ აცნობოს უკრაინელ თანამოძმეებს.

განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობაა დამყარებული ტყიბულის ლენინის სახელობისა და „სვერდლოვუგოლის" № 63 შახტების კოლექტივებს შორის. ისინი პერიოდულად ატყობინებენ ერთმანეთს თავიანთ შრომითს მიღწევებს, აცნობენ მოწინავეთა მუშაობის მეთოდებს. ამან დიდად შეუწყო ხელი ორივე შახტის დაწინაურებას. ამასწინათ მიღებული წერილით დონბასელები იტყობინებოდნენ, რომ მათი შახტი მთლიანი ციკლურობის საწარმოდ იქცა. დაინერგა ლავებში ქვანახშირის ორმაგი ჩაყელვის მეთოდი, რამაც ხელი შეუწყო უბნების რიტმულ მუშაობას.

ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელიც ემზადება რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად, ამ დღეებში კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობის ტემპი.

მოწინავე შახტებში მოპოვებული წარმატებებისათვის ტყიბულელები დიდად უმადლიან დონბასელ მეგობრებს. მათ გადაწყვეტილი აქვთ მიმდინარე წელს ახალი ძალით განაახლონ ტრადიციული შეჯიბრება უკრაინელ თანამოძმეებთან.

**ვ. ცირეკიძე,**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

## მტს-ების დირექტორთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებასთან მუშაობას შეუდგა მტს-ის დირექტორთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. კურსებზე რუსეთის სფს რესპუბლიკიდან, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს რესპუბლიკებიდან ჩამოვიდა სულ 50 კაცი.

კურსებზე ასწავლიან 17 დისციპლინას. იკითხება ლექციები შემდეგ თემებზე: „პოლიტიკური ეკონომია", „სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია", „სოფლის მეურნეობის ახალი ტიპის მანქანები და იარაღები და მათი გამოყენება", „მეცნიერების მიღწევათა დანერგვა სოფლის მეურნეობაში" და სხვ. ლექციებს კითხულობენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები.



[illegible]

ფოტო [illegible]

## ხელოვნების ამბები

### იბსენის „პერ გიუნტი" თბილისის სცენაზე

[illegible]

## პ. ფრანგიშვილის შემოქმედებითი საღამო

[illegible] ...ლში მართავენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტის პავლე ფრანგიშვილის სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავ შემოქმედებითი საღამოს.

საღამოზე შესავალ სიტყვას წარმოთქვამს საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტის- [illegible] ლოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ბუხნიკაშვილი.

საღამოს მხატვრულ განყოფილებაში წარმოდგენილი იქნება სცენები ჭიათურის სახელმწიფო თეატრის დადგმებიდან — „ხანუმა", „თამარ ცბიერი", „სამანიშვილის დედინაცვალი", „კოლმეურნის ქორწინება".

## მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი

# ლეონ კრუჩკოვსკი

მეორე მსოფლიო ომის წინ პოლონეთში ხალხის მოწინავე შვილები თავგამოდებით იბრძოდნენ რეაქციის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში ახალგაზრდა ლეონ კრუჩკოვსკი თავის ერთგულ თანამემამულეებთან იდგა და მხატვრული სიტყვით, პრაქტიკული მოქმედებით ხელს უწყობდა მშობლიური ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვას. 1932 წელს გამოვიდა მისი პირველი რომანი „კორდიანი და ქამი", რომელშიც მკაფიოდ გამოვლინდა ნიჭიერი მწერლის მხატვრული სიტყვის ძალა. ნაწარმოებში მუქი ფერებით დახატულია მშრომელი გლეხობის მაშინდელი უმწეო მდგომარეობა, უუფლებობა და ველური ექსპლოატაცია, მხილებულია პანური პოლონეთის სახელმწიფოებრივი წყობილების გახრწნილება, სასამართლოების ფარისევლობა, რეაქციული ძალების საქმიანობის განწირულება.

შემდეგ მწერალმა დაწერა პოლიტიკურად ასევე მახვილი და მხატვრული ოსტატობის მაღალ დონეზე მდგომი რომანი „ფარშევანგის ფრთები". იგი განაგრძობდა „კორდიანსა და ქამში" დაწყებულ ხაზს და მკითხველის თვალწინ აცოცხლებდა ხალხის მოწინავე შვილების ველური ექსპლოატაციის შემაძრწუნებელ სურათებს, ილაშქრებდა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

ამ პერიოდში ლეონ კრუჩკოვსკის მთელ პოლონეთში იცნობდნენ, როგორც მხატვრული სიტყვის შესანიშნავ ოსტატს, მგზნებარე პუბლიცისტს, პატრიოტს, ფაშიზმის წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლს. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, გამოდიოდა კრებებსა და მიტინგებზე, ხვდებოდა მშრომელთა ახალ-ახალ ფენებს, უნერგავდა მათ ნათელი მომავლის იმედებს.

1939 წელს ფაშისტური ტანკები ლეონ კრუჩკოვსკის სამშობლოში შეიჭრნენ. მწერალი ხალხის სხვა მოწინავე შვილებთან ერთად ტყვეობაში აღმოჩნდა. საბჭოთა არმიის მიერ ფაშიზმის დამარცხების შედეგად იგი სამშობლოში დაბრუნდა.

როგორც პანურ პოლონეთში, ისე გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკში გატარებულმა ცხოვრებამ, იქ ნახულმა საზარელმა სურათებმა, უუფლებობისა და ბოროტმოქმედების ფაქტებმა ლეონ კრუჩკოვსკის კიდევ უფრო განუმტკიცა კაცობრიობის პროგრესული ძალების რწმენა, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სიყვარული, გაუღრმავა იმპერიალისტებისადმი სიძულვილი.

ლეონ კრუჩკოვსკი მშობლიურ ხალხთან არის და მთელ თავის ნიჭს, უნარს ახმარს ახალი, დემოკრატიული პოლონეთის აღორძინებას. 1945 წელს მას ირჩევენ კრაიოვა რადა ნაროდოვას, ხოლო 1947 წლიდან პოლონეთის სეიმის დეპუტატად. 1945-1948 წლებში ლეონ კრუჩკოვსკი კულტურისა და ხელოვნების მინისტრის მოადგილეა, 1949 წლიდან — პოლონეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე.

ნიჭიერი მწერალი დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას უნარიანად ახამებს შემოქმედებით მოღვაწეობასთან. 1949 წელს დაწერა პიესა „გერმანელები". მისი თემა მეტად აქტუალურია, ხოლო გადაწყვეტა — ახლებური, სავსებით შეესაბამება პოლონელი და გერმანელი ხალხების საუკეთესო მისწრაფებებს. პიესა დიდი წარმატებით დაიდგა ჯერ ვარშავაში, შემდეგ კრაკოვში, ლოძსა და პოლონეთის სხვა ქალაქებში, წარმოდგენილ იქნა ბერლინში. აქაც დიდი მოწონება ჰპოვა. შემდეგ ითარგმნა და გრანდიოზული წარმატებით დაიდგა პრაღაში, სოფიაში, რომში, ლონდონში, პარიზში, ვენაში, ტოკიოში და ჰელსინკში. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამ პიესის მიხედვით გადაიღეს კინოფილმი „ერთი ოჯახის ისტორია", რომელიც საბჭოთა მაყურებლისთვისაც კარგად არის ცნობილი.

პიესა „გერმანელების" ასეთი წარმატება უზრუნველყო მისმა ღრმა იდეურობამ, მხატვრული ოსტატობის მაღალმა დონემ. პიესის ძირითადი დრამა იწყება გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის, პროფესორ ზონენბრუხის ოჯახში, მის წევრთა შორის. მოქმედების ფარგლები თანდათან ფართოვდება და დიდ მოვლენებს მოიცავს. მასში ასახულია ფართო საზოგადოებრივი წრეებისა და ფენების საქმიანობა, ჰიტლერელთა მხეცობა. ერთ მხარეზე დგანან სამშობლოს მოღალატე ფაშისტი მოძალადეები, ხოლო მეორეზე — ნამდვილი პატრიოტები, მშვიდობისმოყვარე, კეთილსინდისიერი ადამიანები. საბოლოო გამარჯვება დემოკრატიული ძალების მხარეზეა. ამ პიესით მწერალმა სერიოზული წვლილი შეიტანა ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მშვიდობის შენარჩუნებისათვის დაუღალავი ბრძოლა ლეონ კრუჩკოვსკის პირველხარისხოვან მოვალეობად, სასიცოცხლო საქმედ მიაჩნია. 1950 წელს გამოცემულ წიგნში „შეხვედრები და დაპირისპირებანი" იგი გამოდის როგორც მშვიდობის იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი.

მშვიდობის მომხრეთა პირველ მსოფლიო კონგრესზე ლ. კრუჩკოვსკი აირჩიეს კონგრესის მუდმივ კომიტეტში, ხოლო 1950 წელს მეორე კონგრესზე — მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრად. იგი მშვიდობის საერთაშორისო პრემიების კომიტეტის წევრია, შედის ჟურნალ „ვ ზაშჩიტუ მირას" სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში, თავის დაუშრეტელ ენერგიას ახმარს ხალხთა ბედნიერი მომავლისათვის, თავისუფლებისა და პროგრესისათვის ბრძოლას.

მშვიდობის დაცვაში, — ამბობს პოლონელი ხალხის ეს ერთგული შვილი, — მწერალს დიდი როლის შესრულება შეუძლია. იგი მოვალეა ხალხებს დაეხმაროს მშვიდობისათვის შეგნებული ბრძოლის გზაზე დადგომაში. ლეონ კრუჩკოვსკის მთელი სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ამ აზრის პრაქტიკული განსახიერებაა. თავის დიდ და კეთილშობილურ საქმიანობაში მას ახალ ენერგიას მატებს მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭება.

**პ. ნადირაძე.**

---

ბიან მშენებლობაზე გადასვლას შეძლებდა. ჩვენი სამშობლოს მტრებმა, ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერებმა უღალატეს თავიანთ ხალხს, შეუთანხმდნენ უცხოელ იმპერიალისტებს და სასტიკი სამოქალაქო ომი დაიწყეს საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

უკრაინისა და მთელი საბჭოთა ხალხისათვის ამ მძიმე დროს უკრაინას დაეხმარა რუსი ხალხი და უწინარეს ყოვლისა რუსეთის მოწინავე და რევოლუციური მუშათა კლასი.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უკრაინაში სახალხო განმათავისუფლებელი ომი გაჩაღდა. ერთობლივი ღონისძიებებით უკრაინა განთავისუფლდა, მისი ტერიტორია გაწმენდილ იქნა გერმანელ-ავსტრიელთა ჯარებისაგან. რუსი და უკრაინელი მუშები და გლეხები გმირულად იბრძოდნენ დენიკინელთა, ვრანგელელთა, თეთრპოლონელთა ურდოების წინააღმდეგ. სამოქალაქო ომის მსვლელობაში კიდევ უფრო განმტკიცდა უკრაინელი ხალხისა და რუსი ხალხის საუკუნეობრივი მეგობრობა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის ხალხებმა დაიცვეს დიდი ოქტომბრის მონაპოვარნი და წარმართეს თავიანთი ძალღონე სოციალიზმის მშენებლობისაკენ. ჩვენი ქვეყნის ხალხთა ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა, რაც ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა. სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი უდიდესი მამოძრავებელი ძალა, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველობის საფუძველი გახდა.

საბჭოთა ხალხების ერთსულოვან ძმურ ოჯახში დიდი რუსი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების დახმარების მეოხებით უკრაინელმა ხალხმა უაღრესად მოკლე ხანში შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. უკრაინის სსრ, რომელიც რუსეთის სფს რესპუბლიკის შემდეგ მეორეა მოკავშირე რესპუბლიკათა შორის მოსახლეობის რაოდენობისა და ეკონომიური ძლიერების მიხედვით, მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე უკრაინაში აშენდა გიგანტური სამრეწველო საწარმოები — დნეპრის ჰიდროელექტროსადგური, ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა, ნოვო-კრამატორსკის მანქანათმშენებელი ქარხანა, „ზაპოროჟსტალი", „აზოვსტალი" და მრავალი სხვა. უკრაინაში გრანდიოზული მშენებლობის განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ დიდი რუსი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების დიდი დახმარების შედეგად, უკრაინის მუშათა კლასის უდიდესი შრომითი აღმავლობის მეოხებით.

უკრაინელმა ხალხმა უაღრესად მოკლე ხანში გარდაქმნა თავისი სოფლის მეურნეობა. უკრაინა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პირველი რაიონი იყო, სადაც დამთავრდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.

უკრაინის ინდუსტრიალიზაცია და მისი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის მტრების — ტროცკისტების, ზინოვიეველების, ბუხარინელების, უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ მწვავე კლასობრივ ბრძოლაში, რომლებიც ისწრაფოდნენ მოეხდინათ კაპიტალიზმის რესტავრაცია, ჩამოეშორებინათ უკრაინა საბჭოთა კავშირისათვის. უკრაინელმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაანადგურა საერთაშორისო იმპერიალიზმის ყველა აგენტი, რომლებიც ხელს უშლიდნენ ახალი, ბედნიერი ცხოვრების აშენებას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკა, რომელიც თანმიმდევრულად ხორციელდება, სსრ კავშირის ყველა ხალხს ერთიან ძმურ ოჯახად აკავშირებდა. სოციალიზმის მშენებლობის მსვლელობაში იქმნებოდა უკრაინელი სოციალისტური ერი, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია რუს სოციალისტურ ერთან და ჩვენი ქვეყნის სხვა სოციალისტურ ერებთან.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ პირობები შექმნა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური უკრაინული კულტურის სწრაფი აყვავებისათვის. საბჭოთა უკრაინა წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის რესპუბლიკა გახდა. დიდი რაოდენობით შეიქმნა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი, ინსტიტუტები, თეატრები. ისეთი შესანიშნავი უკრაინელი მეცნიერებით, როგორიც არიან ბოგომოლეცი, პატონი, ფილატოვი და სხვები, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი ამაყობს. მნიშვნელოვნად აყვავდა უკრაინული ლიტერატურა, მუსიკალური და სახვითი ხელოვნება უკრაინაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, აშენდა სოციალიზმი — ახალი საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც უმაგალითო პერსპექტივებს ქმნის ერის შემდგომი განვითარებისათვის.

1939 წელს უკრაინელმა ხალხმა განახორციელა თავისი საუკუნეობრივი ოცნება — დასავლეთ უკრაინის მიწა-წყალი ერთიან უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს შეუერთა. ამ ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა უკრაინელ ხალხს შეეძლო მხოლოდ დიდი რუსი ხალხის დახმარებით, საკავშირო საბჭოთა მთავრობის დახმარებით, რომელიც სწორად ასახავს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ინტერესებს.

რუსი ხალხისა და უკრაინელი ხალხის მარადიული მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა და გამოიწრთო დიდი სამამულო ომის ცეცხლში. ამ ომში უკრაინელ ხალხს წილად ხვდა მძიმე განსაცდელი. გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა, რომლებიც ვერაგულად დაესხნენ თავს საბჭოთა კავშირს, დროებით მოახდინეს უკრაინის ოკუპაცია, დაამყარეს სისხლიანი ფაშისტური რეჟიმი.

მაგრამ ჰიტლერმა ვერ წამოაჩოქა თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხი. უკრაინის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ერთსულოვნად დაირაზმნენ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ წმიდა ომის საწარმოებლად. საბჭოთა არმიის რიგებში მილიონობით უკრაინელი რუს ხალხთან და სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად გმირულად ებრძოდა მტერს. მტრის ზურგში გაჩაღდა მასობრივი პარტიზანული მოძრაობა, რომელიც სერიოზულ დარტყმებს აყენებდა მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას, მის კომუნიკაციებს. მტრის წინააღმდეგ მამაცური, გმირული ბრძოლით უკრაინელმა ხალხმა ცხადყო თავისი მაღალი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, თავისი ერთგულება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი. ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ურღვევი მეგობრობის მეოხებით, დიდი რუსი ხალხის ფასდაუდებელი დახმარების მეოხებით, რუსი ხალხისა, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა ომის ძირითადი სიმძიმე, უკრაინა კვლავ თავისუფალი გახდა და უკრაინელ ხალხს შესაძლებლობა მიეცა მშვიდობიანად აშენოს ბედნიერი სოციალისტური ცხოვრება.

სამამულო ომის შედეგად უკრაინელმა ხალხმა მთელი თავისი მიწა-წყალი ერთიან უკრაინის საბჭოთა სახელმწიფოში გააერთიანა. უკრაინის სსრ გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე, შევიდა წევრად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, იმყოფება მთელ მსოფლიოში მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის ბრძოლის პირველ რიგებში.

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს უკრაინელ ხალხს. როცა უკრაინელი ხალხი დანგრეული მეურნეობის აღდგენას შეუდგა, მას დაეხმარნენ რუსი ხალხი და ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი. ამ მეგობრულ დახმარებაზე დაყრდნობით უკრაინელმა ხალხმა მოკლე ხანში მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები. ამჟამად უკრაინის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ბევრად აღემატება ომამდელ დონეს. მაგალითად, რესპუბლიკის მანქანათმშენებელი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1940 წელთან შედარებით ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა. უკრაინა ახლა ომამდელზე გაცილებით უფრო მეტ ქვანახშირსა და ლითონს აძლევს ჩვენს ქვეყანას.

უკრაინის სს რესპუბლიკაში შექმნილია 1.347 მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგური, რომლებსაც ომამდელზე 68 პროცენტით მეტი ტრაქტორები და 60 პროცენტით მეტი კომბაინები აქვთ. მარტო უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მიიღო ათეულ ათასობით ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მნიშვნელოვნად გაიზარდა საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობა, მიღწეულია წარმატებები მეცხოველეობის დარგში. ძირეული გარდაქმნები მოხდა უკრაინის დასავლეთ ოლქებში — ამიერკარპატისა და იზმაილის ოლქებში, რომელთა მშრომელები მთელ უკრაინელ ხალხთან ერთად შეძლებულ, თავისუფალ ცხოვრებას აშენებენ.

მრეწველობის სწრაფი ზრდის, კოლმეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების საფუძველზე უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისაკენ, გამოიწვევენ სოციალისტური ეკონომიკის უფრო მეტ აყვავებას, კიდევ უფრო აამაღლებენ მთელი საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონეს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა გამოიმუშავა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის კონკრეტული პროგრამა. უკრაინელი ხალხი, მხურვალედ იწონებს რა პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს, თავდადებით იბრძვის კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის.

ომისშემდგომ წლებში მძლავრ აღმავლობას განიცდის უკრაინული კულტურაც. უკრაინაში არის 30 ათასამდე სკოლა, რომლებშიც 6,5 მილიონზე მეტი ბავშვი სწავლობს. იზრდება და ვითარდება უმაღლესი სკოლა. 1913 წელს უკრაინაში იყო სულ 19 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც 26,7 ათასი სტუდენტი სწავლობდა. ამჟამად რესპუბლიკაში არის 150-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი და 550-ზე მეტი ტექნიკუმი, რომლებშიც ასეულ ათასობით სტუდენტი სწავლობს. მარტო 1953 წელს რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა და ტექნიკუმებმა 76 ათასი ახალგაზრდა სპეციალისტი გამოუშვეს. უკრაინის სს რესპუბლიკაში მუშაობს 74 თეატრი და 65 სხვა შემოქმედებითი კოლექტივი, 28 ათასამდე კულტურის სახლი და კლუბი, 84 მუზეუმი, 30 ათასზე მეტი მასობრივი ბიბლიოთეკა, გამოდის 1.150-ზე მეტი გაზეთი. უკრაინელი მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები ქმნიან თავიანთი ხალხის, საბჭოთა სოციალისტური ეპოქის შესაფერ შესანიშნავ ნაწარმოებებს.

იზრდება და მტკიცდება უკრაინელი ხალხის ძმური მეგობრობა დიდ რუს ხალხთან, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან. უფროსი ძმისადმი, რუსი ხალხისადმი, თავისი მადლობის ღრმა გრძნობა უკრაინელმა ხალხმა 1945 წლის 30 ივნისის წერილში გამოხატა.

„შენ, ჩვენს უფროს ძმას, დიდ რუს ხალხს, — ნათქვამია წერილში, — სიყვარულის, ერთგულებისა და გულწრფელი მადლობის სიტყვებით თავის რჩეულთა — უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მეშვეობით მოგმართავს თავისუფალი უკრაინელი ხალხი.

...უკრაინელი ხალხი მადლობას გიძღვნის შენ, რუსო ხალხო, იმ დახმარებისათვის, რომელიც გაუწიე გაერთიანების, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის შესახებ უკრაინელი ხალხის საუკუნეობრივი ოცნების განხორციელებაში".

უკრაინელი ხალხი ამაყობს თავისი საუკუნეობრივი ურღვევი მეგობრობით რუს ხალხთან. „დიდ რუს ხალხთან მეგობრობა, — ამბობდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — ნიშნავს იმას, რომ იდგე ხალხთა უაღრესად პროგრესული მოძრაობის პირველ რიგებში — კაპიტალისტური მონობის მოსპობისათვის. დიდ რუს ხალხთან მეგობრობა ძლევამოსილი წინსვლაა პროგრესის გზით, კომუნიზმის გზით" („პრავდა", 1948 წ. 25 იანვარი).

დღესასწაულობენ რა რუსეთთან უკრაინის შეერთების სახელოვან 300 წლისთავს, რუსი ხალხი, უკრაინელი ხალხი და ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხები კიდევ უფრო მაღლა სწევენ ხალხთა მეგობრობის — მათი ურყევი ძლიერებისა და აყვავების საწინდრის დროშას, კიდევ უფრო მჭიდროდირაზმებიან თავიანთი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

**პ. ეპიფანოვი.**
**ი. ფედოსოვი.**

ქალაქის ... ბიბლიოთეკა

## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ

ბერლინი, 8 იანვარი. (საქდესი). [illegible]

## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲝᲗᲮᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ბერლინი, 8 იანვარი. (საქდესი). [illegible]

## ᲐᲓᲔᲜᲐᲣᲔᲠᲘ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐᲡ

ვენა, 8 იანვარი. (საქდესი). [illegible]

## ᲞᲐᲡᲢᲝᲠ ᲜᲘᲛᲔᲚᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲖᲔ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ

ბერლინი, 8 იანვარი. (საქდესი). [illegible]

## საომარი მზადება დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 8 იანვარი. (საქდესი). დასავლეთ ბერლინის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ბონიდან მიღებული ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ მალე დასავლეთ გერმანიაში „საჰაერო თავდაცვის" ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებლად უნდა შეიქმნას „სამოქალაქო-საჰაერო თავდაცვის" სამმართველო, რომელიც დაექვემდებარება ბონის შინაგან საქმეთა სამინისტროს.

## ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ

### ᲢᲝᲚᲘᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

რომი, 8 იანვარი. (საქდესი). [illegible]

## ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲔᲘᲖᲔᲜᲰᲐᲣᲔᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ნიუ-იორკი, 8 იანვარი. (საქდესი). [illegible]

## ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ

ჰელსინკი, 8 იანვარი. (საქდესი). მთავარი სტატისტიკური ბიუროს წინასწარი ცნობებით, ფინეთში ახლა დაახლოებით 4.164.500 მცხოვრებია. 1953 წელს ფინეთის მოსახლეობა 47.500 კაცით გადიდდა.

## ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

### ᲰᲐᲡᲢᲘᲜᲒᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ

ლონდონი, 8 იანვარი. (საქდესი). 6 იანვარს ჰასტინგსის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეშვიდე ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ტურნირის ერთ-ერთი ლიდერის ტოლუშის პარტიამ, რომელიც თეთრებით ეთამაშებოდა ინგლისელ ოსტატ ჰორნს. დებიუტშივე ტოლუშმა ხელთ იგდო ინიციატივა და მოიგო ორი მსუბუქი ფიგურა ეტლში, ხოლო შემდეგ ლაზიერის ლამაზი შეწირვით პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

ბრონშტეინ-ალექსანდერის პარტიაში საბჭოთა გროსმაისტერმა აირჩია მწვავე დასაწყისი, რომელიც ცნობილია სტაუნტონის გამბიტის სახელწოდებით. მაგრამ შემდეგში მან თავი აარიდა მწვავე გაგრძელებას, შესაძლებლობა მისცა მოწინააღმდეგეს გაეცვალა მეტი წილი ფიგურები და ენდშპილში აღმოჩენილიყო ზედმეტი პაიკით. სანამ პარტია გადაიდებოდა, ბრონშტეინმა კიდევ ერთი პაიკი შესწირა.

გუშინ მერვე ტურში ბრონშტეინმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა, 33-ე სვლაზე მოუგო ოლაფსონს.

ტოლუშს მატანოვიჩის წინააღმდეგ ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ ძლიერ ცაიტნოტში შეცდომა დაუშვა, რის შემდეგ მისი მდგომარეობა უიმედო გახდა და თავი დამარცხებულად ცნო.

უკანასკნელი ტურის წინ, რომელშიც ბრონშტეინი შეხვდება ტეშნერს და ტოლუში ალექსანდერს, სატურნირო ცხრილში მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: ბრონშტეინი — $5^1/_2$ ქულა (ერთი გადადებული პარტია); ალექსანდერი — $4^1/_2$ ქულა (ერთი გადადებული პარტია); ტოლუში, მატანოვიჩი, ტეშნერი და ო კელი — $4^1/_2$ ქულა თვითეულს; ოლაფსონი — $3^1/_2$ ქულა, უეიდი — 3 ქულა, ტარტაკოვერი — $2^1/_2$ ქულა, ჰორნი — 2 ქულა.

### ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ XXI ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

კიევი, 8 იანვარი. (საქდესი). გუშინ აქ კვების მრეწველობის მუშაკთა კულტურის სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის XXI საჭადრაკო ჩემპიონატი.

მოხდა წილისყრა. მისი შედეგები ასეთია: 1. გ. ლისიცინი, 2. რ. ხოლმოვი, 3. ი. ავერბახი, 4. ა. სუეტინი, 5. ე. გელერი, 6. მ. ტაიმანოვი, 7. ბ. ბივშევი, 8. ა. ლილიენტალი, 9. ტ. პეტროსიანი, 10. ს. ფურმანი, 11. გ. ბორისენკო, 12. ა. სოკოლსკი, 13. ი. ლივშინი, 14. გ. ილივიცკი, 15. ლ. შამკოვიჩი, 16. ა. ბანიკი, 17. ვ. კორჩნოი, 18. ს. ფლორი, 19. რ. ნეჟმეტდინოვი და 20. ვ. რაგოზინი.

პირველ ტურში, რომელიც დღეს გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან: ლისიცინი — რაგოზინი, ხოლმოვი — ნეჟმეტდინოვი, ავერბახი — ფლორი, სუეტინი — კორჩნოი, გელერი — ბანიკი, ტაიმანოვი — შამკოვიჩი, ბივშევი — ილივიცკი, ლილიენტალი — ლივშინი, პეტროსიანი — სოკოლსკი, ფურმანი — ბორისენკო.

### ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲪᲘᲒᲣᲠᲐᲕᲔᲔᲑᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲜᲔᲜ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ

6 იანვარს ღამით მოსკოვიდან იაპონიაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მოციგურავეთა გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ციგურებით ჩქარ რბენაში მსოფლიო პირველობაზე შეჯიბრებაში. გუნდში შედიან მსოფლიოს ჩემპიონი ოლეგ გონჩარენკო და უძლიერესი საბჭოთა მოციგურავეები ევგენი გრიშინი, იური კისლოვი, რობერტ მერკულოვი, დიმიტრი საკუნენკო, იური სერგეევი, ბორის შილკოვი. გუნდს მეთაურობს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე კ. ვ. კრუპინი.

ციგურებით ჩქარ რბენაში 1954 წლის მსოფლიო პირველობაზე შეჯიბრება ვაჟთათვის გაიმართება 16 და 17 იანვარს ქალაქ საპოროში (კუნძული ჰოკაიდო). შეჯიბრების პროგრამაშია რბენა 500, 1.500, 5.000 და 10.000 მეტრ დისტანციაზე.

# ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ქვემო ავჭალა. ჩაის საწონი ფაბრიკისა და შამპანური ღვინის ქარხნის მუშათა საცხოვრებელი უბნის ერთ-ერთი კუთხე. ფოტო ვლ. ზარიძისა.

## ᲛᲔᲛᲐᲣᲓᲚᲔᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ

მშრომელებს ფართო კულტურულ მომსახურებას უწევს თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კლუბი. კლუბთან ჩამოყალიბებულია ქართული და რუსული დრამატული წრეები, მომღერალთა გუნდი, ქორეოგრაფიული ანსამბლი და ბავშვთა დრამატული წრე, რომელშიც გაერთიანებული არიან ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა შვილები, ჩამოყალიბდა საესტრადო ორკესტრი. წრეების მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მუშები.

ფაბრიკის კლუბში იმართება ლექციები პოლიტიკურ და საერთაშორისო თემებზე. მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის მიზნით ეწყობა შეხვედრები გამოცდილ მუშებთან, წარმოების ძველ ოსტატებთან. ამას წინათ აქ კონცერტი გამართეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობებმა. ეწყობა მუშათა კოლექტიური დასწრება თბილისის თეატრების ახალ სპექტაკლებზე.

კლუბს აქვს საბავშვო ბიბლიოთეკა, კინოდარბაზი.

## ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს თბილისის სავაჭრო-კულინარული სკოლა სტაციონარულად და წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ამზადებს სავაჭრო დარგის მუშაკებს. თავისი ათი წლის არსებობის პერიოდში სკოლამ მოამზადა 3 ათასამდე გამყიდველი, კულინარი, მოანგარიშე-კალკულატორი. შარშან სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მომზადდა 181 გამყიდველი, 50 მზარეული და 28 მოანგარიშე-კალკულატორი. ამჟამად სკოლაში მეცადინეობს 330 კაცი.

შარშან სკოლაში მოწყობილ 2-4 თვიან კურსებზე კვალიფიკაცია აიმაღლა ვაჭრობის დარგის 500-ზე მეტმა მუშაკმა — სასადილოებისა და მაღაზიათა დირექტორებმა, გამყიდველებმა, ბუხჰალტრებმა, სექციონერებმა, კულინარებმა, მებუფეტეებმა და მიმტანებმა. გარდა ამისა, ქუთაისში, რუსთავში და აჭარაში მოწყობილ კურსებზე კვალიფიკაცია აიმაღლა 300-მდე მუშაკმა.

წელს თბილისის სავაჭრო-კულინარული სკოლა მიიღებს მსმენელთა ახალ კონტინგენტს 400 კაცს, ხოლო კვალიფიკაციას აიმაღლებს ვაჭრობის დარგის 1.500 მუშაკი.

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲑᲘᲠᲛᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

9 იანვარს თბილისს ჩამოვიდა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მოწვევით სსრ კავშირში სტუმრად მყოფი ბირმის კულტურის პროგრესულ მოღვაწეთა დელეგაცია.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სრულიად ბირმის მშვიდობის დაცვის კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე, მწერალი დაგან ტაია, პარლამენტისა და სრულიად ბირმის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი ბო ტუნ სეინი, ბირმის მწერალთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი უ ბა ვინი.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე გ. კარბელაშვილი, საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე მწერალი ი. მოსაშვილი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრი პროფესორი ნ. ჯავახიშვილი, სტალინური პრემიის ლაურეატი პოეტი გ. აბაშიძე.

ბირმის კულტურის მოღვაწეები გაეცნობიან საქართველოს მშრომელთა ცხოვრებასა და მუშაობას. (საქდესი).

## „ᲠᲦᲕᲔᲕᲐ" ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გორკის სახელობის კულტურის სახლის დრამატულმა წრემ მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — ბ. ლავრენევის პიესა „რღვევა".

სპექტაკლის რეჟისორია გ. გოგიჩაიშვილი, მხატვარი დ. მირიანაშვილი, მუსიკა დაწერა მ. ჩირინაშვილმა. როლებს ასრულებენ ლ. მახველაძე, მ. გვარამაძე, ო. ნუცუბიძე, თ. ბოგიშვილი, ე. ამბოკაძე, ო. დარსაველიძე და სხვები. სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

რედაქტორის მოადგილე
გ. ᲛᲔᲚᲐᲫᲔ.


## ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

| | |
|---|---|
| 10 იანვარს | დღის 12 საათზე დ. თორაძე — ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით). საღამოს პ. ჩაიკოვსკი — ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲝᲜᲔᲒᲘᲜᲘ |
| 13 იანვარს | ჯ. პუჩინი — ᲢᲝᲡᲙᲐ |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲪᲘᲠᲙᲘ

ყოველდღე
პროგრამის მე-2 ციკლი
რსფსრ სახალხო არტისტი
ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲓᲣᲠᲝᲕᲘ
დუროვის რკინიგზა და დიდი საცირკო წარმოდგენა
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

სასკოლო არდადეგების დღეებში რსფსრ სახალხო არტისტის
ვ. გ. დუროვის ნაძვისხესთან
ᲓᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲐ
მონაწილეობენ გაწვრთნილი ცხოველები.
დღის წარმოდგენების
დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.
ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.
სალაროები ღიაა დილის 10 საათიდან

## ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — დონ სეზარ დე ბაზანი (დილას და საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ (რკინიგზელის სახლში), გრიბოედოვის სახელობის — გვარს ნუ დავასახელებთ (დილას), კიკვიძე (საღამოს), მუსიკალური კომედიის — ჩვენი ნაცნობები (დილას და საღამოს), მოზარდ მაყურებელთა ქართული — ასე იწყება ცხოვრება (აბონემენტი № 41, დილას) მისი მეგობრები (აბონემენტი № 26, 7 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — უბის წიგნაკი (10 ს.), ვიცე-ზემდეგი (5 ს.), სანიტარული კულტურის — ცირუ, თოჯინების ქართული — ზარმაცის სიზმარი (12 ს. და 3 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, 26 კომისრის, პლეხანოვის სახელობის კლუბი — ამხანაგის ღირსება, ოქტომბერი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — კრეჩინსკის ქორწინება, თბილისი — უდანაშაულო დამნაშავენი, სპარტაკი, — ნორჩი გულით, კოლხიდა — ორი ბატონის მსახური, კოლმეურნე — ჩემი პატარა მეგობარი, ოფიცერთა სახლი, დიდუბე — მზითვიანი ქორწილი.

„ᲙᲘᲜᲝᲞᲠᲝᲙᲐᲢᲘᲡ" ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ქალაქ თბილისის კინოთეატრებში და კლუბების ეკრანებზე ა. წ. 11 იანვრიდან უჩვენებს ახალ კინოფილმს „ᲜᲔᲐᲞᲝᲚᲘ — ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ".


ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წლის 20 იანვარს, დღის 1 საათზე, № 86 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ᲑᲐᲠᲜᲐᲑ ᲐᲕᲥᲡᲔᲜᲢᲘᲡ-ᲫᲔ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ბოლშევიკების დამოკიდებულება რუსეთ-იაპონიის ომისადმი".

ოფიციალური ოპონენტები: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ალ. ფირცხალაიშვილი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი გ. აფრიდონიძე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი მ. გაფრინდაშვილი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წლის 20 იანვარს დღის 1 საათზე № 93 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ᲑᲘᲕᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ-ᲫᲔ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში".

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ილ. აბულაძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი გ. როგავა.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე ვახტანგ დავითის-ძე დუნდუამ, მცხოვრებმა ლოკომოტივების შემკეთებელი ქარხნის სახლი № 9, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე გუგული მიხეილის ასულ დუნდუასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე მიხეილ პორფილეს-ძე კილურაძემ, მცხოვრებმა ნატახტრის ქ. № 7, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ეთერ გიორგის ასულ კილურაძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

შვილი ალექსანდრა, სიძე საველი გველესიანი, შვილიშვილი ლოლა, სიძე ზურაბ შენგელია შვილებით იუწყებიან დაფინა კაცის ასულ ისაკაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 10-I, 5 ს. ქუჩიშვილის ქ. № 7.

მეუღლე სტეფანე, რძლები ბაბილა, ნინო, მული ოლა, მაზლიშვილები ირაკლი ოჯახით, ოთარ, ავთანდილ, დარეჯან ოჯახით, ზურაბ, გურამ იუწყებიან ნინო გიორგის ასულ ფარქოსაძის გარდაცვალებას, პანაშვიდი 10, 11-I, 7 ს. გამოსვენება 12-I, 4 ს. ფარკოფელის ქ. № 24.

დედა ელენე, ძმები ვლადიმერ, კარლო, რობერტ, შოთა ოჯახებით, მეუღლე თინა, შვილი ნანი, სიდედრი საშა, რძალი მარო იუწყებიან მიხეილ ლუკას-ძე ცისკარიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-I ქ. ცხაკაიაში. გამოსვენება ყაზბეგის ქ. № 8.

შვილები ანასტასია, თინა, ელენე, პელაგი, აკაკი, რძლები ოლია, თამარ, ქსენია, სიძეები ბ. მურვანიძე, კ. ლომაძე, ვ. გოგუაძე ოჯახებით იუწყებიან ბაბილინა სიმონის ასულ ჩავლეიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-I. სადგური ჯუმათი, ს. ნინოშვილი (ლანჩხუთის რაიონი).

საქართველოს სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ა. ჭაბუკიანს მისი დის ქრისტინე გვიშიანის გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 10-I სოფ. ჩხუტელში (ცაგერის რაიონი).

გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის" და სტამბის მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ შ. დემეტრაძეს მისი მამის ივანე ბართლომეს-ძე დემეტრაძის გარდაცვალების გამო.

მიხაკო, ნინო, ტატიანა, კარლო, ამირან შარაშიძეები, ლოლა, სერგო მოწონელიძეები, ელენე, დიმიტრი ცინცაძეები ოჯახებით იუწყებიან ძმისშვილისა და ბიძაშვილის დიმიტრი ირაკლის-ძე შარაშიძის გარდაცვალებას.

„სოიუზზაგოტტრანსის" საქართველოს ავტოტრესტის და ავტობაზების თანამშრომლები იუწყებიან მიტროფანე სიმონის-ძე ჩიქვინიძის გარდაცვალებას.

შვილები დავით, თომა, რძლები მარიამ, მარო, შვილიშვილები სერგო, თინა, ნუნუ, მანანა ტაბატაძეები, სიძეები გ. თოფურია, ო. ხომერიკი იუწყებიან როდამ გიორგის ასულ ტაბატაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-I, 3 ს. ხარაგოულში.

მეუღლე იოსებ, შვილები ოთარ, ეთერ, რევაზ, ლამარა, მიმოზა, რძალი მაგული, შვილიშვილი მადონა გვაძაბიები, ნათელა ბერულავა იუწყებიან საშა დიმიტრის ასულ ჩიტაია-გვაძაბიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-I ქ. ცხაკაიაში. გამოსვენება მოსკოვის ქ. № 14.

რძალი სარა, ძმისწულები თამარ, ალიოშა, გიორგი სეფერთელაძეები, სიძე ვ. ედიბერიძე ოჯახებით იუწყებიან გრიშა არტემის-ძე სეფერთელაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 10-I, 2 ს. მიასნიკოვის ქ. № 59.

მეუღლე ლოლია, შვილები თინა, ზურაბ ოჯახით, ცოლისდა ე. აბაშიძე, ქვისლი ს. ანთაძე შვილით, ცოლისძმა გ. აბაშიძე ოჯახით იუწყებიან ვარლამ სპირიდონის-ძე ლორთქიფანიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-I, გამოსვენება 12-I, 3 ს. ათარბეგოვის ქ. № 36.

თამარ, ქეთევან და ვახტანგ წულუკიძეები იუწყებიან დედის ბარბარე მაქსიმეს ასულ წულუკიძე-მაქსიმიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-I, 8 ს. გამოსვენება 12-I, 4 ს. სასამართლოს ქ. № 50.

საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაკები თანაგრძნობას უცხადებენ პ. ცაგარეიშვილს მისი სიმამრის გიორგი ივანეს-ძე კულიკოვის გარდაცვალების გამო.

თბილისის ვაჟთა 36-ე სკოლის პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ პ. შუბითიძეს მისი მამის არსენ იოსების-ძე შუბითიძის გარდაცვალების გამო.

აპოლონ, თამარ, ქიშვარდი, ნელი, რამაზ რამიშვილები, მარიამ, არჩილ ვლადიმერაშვილები, ნ. ჯაფარიძე ოჯახებით იუწყებიან სიძის დიმიტრი ირაკლის-ძე შარაშიძის გარდაცვალებას.

ძმა ალექსანდრე, რძალი ნინო, ძმისწული ეთერ, სიძე კ. წიწივაძე შვილებით, თამარ შიოშვილი ოჯახით იუწყებიან ნინო გიორგის ასულ ამაზაშვილი-ფარქოსაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 12-I, 4 ს. ფარკოფელის ქ. № 24.

ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივი იუწყება ალექსანდრა მაქსიმეს ასულ ზვიადაძე-მუნჯიშვილის გარდაცვალებას.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვისა და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65,41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00605

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი"